

572  
1981


ISSN 0132-2065

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



1981 თებერვალი № 2

საქართველო



რ ვ ე ნ ი

ქ ა ლ ა

პ რ თ ო ბ ა შ ი ა !

მხატვარი ზურაბ შორაჩხიძე

ძალა ერთობაშიაო!—უთქვამთ ჩვენს წინაპრებს და მართლაც, განა ცალკე, მარტოდმარტო აღამიანი გააკეთებს იმას, რასაც სხვებთან ერთად შეძლებს? გერასოდეს! ვიდრე ერთი კაცი ერთ ხეს დარგავს, ბევრი—ბაღს გააშენებს. იმასაც იტყვიან: მარტო კაცი ჭამაშიაც ბრა-

ლიაო! დიახ, როცა გვერდით მეგობარი გიდგას, ლხინიც უფრო სახალისოა და გაჭირვებაც უფრო იოლი გადასატანი.

რაც უფრო მეტი მეგობარი გყავს, მით უფრო ღონიერი და მდიდარი, მით უფრო იმედიანი ხარ.

ისტორიამ, ლიტერატურამ, ცხოვრებაში მეგობრობის ბევრზე ბევრი მაგალითი იცის. მაგრამ სულ სხვაა ჩვენი, საბჭოთა ხალხების მეგობრობა. ალბათ იცით, საბჭოთა კავშირი თხუთმეტი რესპუბლიკისაგან შედგება. თითოეულ რესპუბლიკას თავისი ენა, თავისი კონსტიტუცია—წესი და კანონი, თავისი დროშა და გერბი აქვს. რესპუბლიკების კავშირი კი იმიტომ გვექვია, რომ ყველას ერთი საერთო მიზანი გვაქვს: ვიცხოვროთ მშვიდობით, ერთიანი ძალით ვაშენოთ კიდევ უფრო ბედნიერი ცხოვრება—კომუნისმი.

საბჭოთა კავშირში შედის: რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ლიტვის სსრ, მოლდავეთის სსრ, ლატვიის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ, თურქმენეთის სსრ, ესტონეთის სსრ.

ალბათ არაერთხელ გაგიგონიათ, თუ

16764

როგორ დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას ფაშისტური გერმანია. თქვენი პაპები და ბებები მაშინ თავდაუზოგავად იცავდნენ მშობლიურ მიწას, იცავდნენ თქვენი დედებისა და მამების სიცოცხლეს—ისინი ხომ იმ დროს თქვენოდნებები იყვნენ. საბჭოთა ხალხმა სასტიკად დაამარცხა ჰიტლერული გერმანია. ჩვენს ქვეყანას—მსოფლიოში პირველ სოციალისტურ ქვეყანას, ბევრზე ბევრი სხვა გამარჯვებაც უხეშია. ყველა ამ გამარჯვების საფუძველთა საფუძველი ხალხთა მეგობრობა და ძმობაა.

დახედეთ ჟურნალის გარეკანს. აი, როგორ გამოსახა საბჭოთა რესპუბლიკების ძმობა და ერთიანობა თქვენმა საყვარელმა მხატვარმა ზურაბ ფორჩხიძემ. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ბიჭუნებს ამაყად აღუმართავთ თავიანთი რესპუბლიკების დროშები—ეს თხუთმეტი ერთად აფრიალებული დროშა თხუთმეტი სხვადასხვა ერის ერთიანი ძმური ოჯახის სიმბოლოა.

ამ ჟურნალს როცა მიიღებთ, სწორედ იმ დღეებში საბჭოეთის დედაქალაქში, მოსკოვში, დიდი თავყრილობა იქნება გამართული. ჩვენი პარტიის მორიგე, 26-ე ყრილობაზე შეიკრიბებიან რჩეული ადამიანები—დელეგატები ყველა რესპუბლიკიდან. შეიმუშავებენ და მიიღებენ


საბჭოთა კავშირის ახალი ხუთწლიანი გეგმებს, საერთოდ, ყრილობები ხუთწლიანში ერთხელ იმართება ხოლმე და გეგმებიც ამიტომ ხუთი წლის ვადით დგება. დიდია ჩვენი ქვეყნის სამომავლო ამოცანები. გეგმებში დაწვრილებით ჩაიწერება, თუ რამდენი ქარხანა უნდა აშენდეს, რამდენი კილომეტრი სამაქანო თუ სარკინიგზო გზა იქნას გაყვანილი, რამდენი ჰექტარი ვაზი გაშენდება, რამდენი სკოლა და საბავშვო ბაღი გაიხსნება, რამდენი წიგნი დაიბეჭდება, რამდენი ტონა ხორბალი და კარტოფილი მოვა...

ბევრი, ძალიან ბევრი უნდა გაკეთდეს და ხარისხიანდაც.

პარტიის ყრილობა მრავალ სხვა დღემნიშვნელოვან საკითხს განიხილავს, დასახავს ჩვენი ქვეყნის განვითარების ხეაღმართვას, ახალ მიზნებს.

ერთი სიტყვით. თებერვალში საბჭოთა ხალხის დიდი დღესასწაული იქნება!

შენ კი, ჩვენო პატარა მეგობარო, რით უნდა უპასუხო ამ ზეიმს? ხუთეუბზე უნდა ისწავლო, იყო ბეჯითი, მუყაითი, დამჯერე, რათა ყველამ დაინახოს და თქვას: ავე, როგორი ადამიანი იზრდება! მკოდნეც და საიმედოც! ნამდვილი ქართველი საბჭოთა ადამიანი, სამშობლოსაც რომ ასახელებს და მშობლებსაც!



საქართველოს საბჭოთა  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
ბეჭდვის განყოფილება

# პრიკულა ჯარში მიღის

მ. ლალიშვილი  
ასოციაციური მხატვარი

ამ მოთხრობაზე „მიღის“  
ქონდასა და  
პირველი დაიხმარება.

მხატვარი დიმიტრი შარვაშიძე

სახლში იცი რამდენი  
ვართ? — თორმეტი — ექვ-  
სი ძმა და ოთხი და, ჩემი  
მშობლებიც მიუმატე და  
თორმეტი.

— კაცო, ნვიმას ჩამო-  
ყვით? — ამბობს ფოსტა-  
ლიონი კოტე ძია და კე-  
თილად იღიმება. შემოდ-  
გამს მარცხენა ფეხს ჩვე-  
ნი აივნის კიბეზე, გაზეთე-  
ბითა და წერილებით სავ-  
სე ტყავის ჩანთას წინ შე-  
მოიბრუნებს, შენითლე-  
ბულ ცხვირზე სათვალეს  
წამოიკვებებს და ჩანთა-  
ში იქექება.



საქართველო  
საბავშვო



ვინც შინა ვართ, წინილებივით გარს ვეხვე-  
ვით, სული გველევა, რადის იპოვის კოტე  
ძია ჯარიდან გამოგზავნილ უფროსი ძმის  
წერილს.

ჩემი უმცროსი ძმა, ნაბოლარა ბაკური  
კისერზე მაცოცდებდა, რომ ფოსტალიონის  
ჩანთაში კარგად ჩაიჭყიტოს. ბაკური ოთხი  
წლისაა, მას აჩიკუდასაც ვეძახით; რადგან  
ძალიან უყვარს უფროსი ძმების ზურგზე  
ჯდომას და სეირნობას. აბა, დამიტრი, აჩიკუ-  
და მინდაო, მეტყვიის და მეც ეზოში ცხენი-  
ვით თოხარკვ ემართავ ან ბალიდან შინ მივ-  
ცუხვებებ.

„დედას არ ავიწყდება, რაც კოტე ძიამ  
თქვა:“

— მემრის მურადი ჯარიდან რომ დაბ-  
რუნდება, შენ მაშინ ნახე რამდენი ვიქნებით.

— ღმერთმა გამრავლოთ, დიდ ოჯახს რა  
სჯობს. — ეპასუხება ფოსტალიონი, კონ-  
ვერტს მაღლა სწევს, აბა, ყურთავლეჯაზეა,  
ვინ მომწედებაო, და ჰაერში ატრიალებს.  
ჩვენც ერთი ფრიაბული აგვიტყდება. ძმები  
ცდილობენ კოტე ძიას მხრებზე შეახტენ და  
წერილს მისწვდნენ, დები ყურთასმენის წამ-  
ლებად წვიან, ჩემს კისერზე მოკალათებუ-  
ლი ბაკური ორივე ხელით ეპოტინება ჰაერ-  
ში მოფრიალე კონვერტს.

— მიდი, ბაკურ, მიდი, იმარჯვე ბიჭო!  
— ვაქებზე აჩიკუდას. კოტე ძია, ვითომ ბა-  
კურმა გაჯობათ ყველასაო, წერილს იმას  
წაართმევიანებს.

— დავიჭირო, დავიჭირო! — ჭყვივის გახა-  
რებული ძმა და კონვერტს დოსტკერის, მარ-  
თლა მურადისაგან არის თუ არაო — ჯარი-  
დან გამოგზავნილი წერილების სამკუთხა ბე-  
ჭედს ცნობს.

— მურადისაგან არის! — ყვირის მერე  
და კონვერტს დედას უწვდის.

დედა იქვე, კიბეზე ჯდება, კონვერტს კი-  
დის წაფხვრენს, იქიდან ოთხად მოკეცილ  
ქაღალდს იღებს და ხმამაღლა კითხულობს.

სულაგანბულები ვუსმენენ. ფოსტალიონი  
წასვლას არ ჩქარობს და როცა დედა წერილს  
ჩაათავებს, ამბობს:

— კარგია არმიაში სამსახური, ნახავთ  
რა დაკაცებული ჩამოვა მურადი! ბიჭო, ბა-  
კურ, შენ როდისაა წახვალ ჯარში?

— მაგას არ წაიყვანენ, — ქვემოდან ცე-  
რად ვუყურებ აჩიკუდას.

— ვითომ რატო?

— იმიტომ, რომ სუპიანი სადილი არ უყ-  
ვარს!

— მართლა, კაცო?

— არც ფაფას მიირთმევს, — დაუმაბა  
ჩემმა ერთმა დამ.

— ეს რა მშობის! — მუხლებზე ხელმეორე  
დაიკრა ფოსტალიონმა, — არ უყვარს და  
ერთი ბენო, დაგვალული გაიზრდება, საჯა-  
რედ არ გამოდგება.

— სამაგიეროდ გოგლიმოგლი უყვარს, —  
ჩაერია მეორე და.

— გოგლიმოგლიო? — ახარხარდა ფოს-  
ტალიონი, — რა გამაცინა, ბიჭო! ამას ხომ  
არა ჰგონია, ჯარში მეთაური გოგლიმოგლს  
გაუყუთებს; მტერთან მეომარმა სუპი უნდა  
ჭამოს, ფავა უნდა მიირთვას, უნდა ივარ-  
ჯიშოს, რომ კაყან დევივით გაიზარდოს!  
გოგლიმოგლიო! — გაიმეორა ფოსტალიონ-  
მა და ნაეიდა.

იმის შიშით, ვაი თუ მართლა დაგვალული  
გავიზარდო და ჯარში აღარ გამინვიონო,  
აჩიკუდამ სუპის ჭამაც დაიწყო და ყველანა-  
ირი ფავისაც, ხანდახან გოგლიმოგლსაც  
გიახლებოდათ, რადგან ძალიან უყვარდა,  
ოღონდ, წინასწარ გვაფრთხილებდა, კოტე  
ძიასთან არ წამოვცდეთო; ვარჯიშოდ დაინ-  
ყა, ჩვენი ნაბაძვით სხეულს სველი ტილოთი  
იხვლდა.

ერთ დღეს აჩიკუდა სახლიდან გაქრა. დაი-  
კარგა ჩვენი ძალი ყურშაც. აწრიალდით,  
დავიწყეთ ძებნა, სოფელს მოვედეთ, ვის არ  
ვეკითხებოდით, მაგრამ ბაკურის ასავალ-და-  
სავალი ვერ გავიკეთე. ვდგვიარ სოფლის გზა-  
ზე და აღარ ვიცი, საით წავიდე.

ჩემს გვერდით ვოლგა გაჩერდა. ვილაც  
უცხო კაცი იჯდა. ესეთი და ესეთი ბიჭი დავ-  
კარგეთ, სადმე თვალი ხომ არ მოგვირავთ-  
მეთქი.

— როგორ არ ვნახე, ქვევით რკინიგზის  
სადგურისაკენ მიდიოდა, ლურჯი ხალათი  
ეცვა; მხარზე სათამაშო ავტომბატი ეკიდა,  
შორიახლო ხბოსავით მაღალი, თეთრი ძალ-  
ლი მისდევდა.

— ის არის! — შევძახე გახარებულმა.

— ხო, გავაჩერე მანქანა და ვეკითხები:  
პატარა ბიჭო, სად მიდინარ-მეთქი. ხმა არ  
გამცა. მივხვდი, შინიდან გამოპარული იქ-  
ნება, მოდო მანქანაში ჩავისვამ და სოფელში  
ავიყვან-მეთქი. გავედი მანქანიდან და ვერ  
მოგართვეს ბადრიჯანი, ძალღმა ავად დამი-  
ღვრინა, იმისთანა უშვები მიჩვენა, გავთავი  
კაცი, ისევ მანქანაში ჩავეჭედი და აქეთ გამო-  
ვნიე, რომ ვინმესათვის შემეტყობინებინა.

მაღლობა გადაუხაბდე და რკინიგზის სად-



გურისაკენ გავიქეცი. იქამდე ორი კილომეტრი, მურადი ჯარში იქიდან გაგაცილებს. მაშინ ბაკურიც ჩვენთან იყო — მსჯარაძეებთან რომ ჩამოვსულიყავი, მურადის ჯარში მეც უნდა გავყვეო, გაფშვიკა ფეხები ძირს უხვირო სახედარივით და გააბა ღრიალი.

მივრბივარ სადგურისაკენ, გავედი სწორ გზაზე და ვხედავ შორს ბუზისტოლად რაღაც მოჩანს. ჩემი ძმავა, ლურჯხალათა, უკან ყურშია მისტუნტულეხს.

როგორც იყო დავვინე. აჩიკუდას სიარულისაგან დასცხომოდა, ლეყები ბრონეულვით დასწითლდებოდა, ორივე ხელით მაგრად ჩაებლუჯათვისი ავტომობილი.

— სად მიდიხარ ბიჭო?

— ჯარში! — თქვა და გზა განაგრძო.

— ჯარში? — გავიმეორე და წინ გადავუდექი, — მერე უჩუმრად რას მიიპარები, ვერა თქვი? არ გახსოვს მურადი მთელმა სოფელმა გააცლია?

— მეც გამაცილებდით? — გაუხარდა აჩიკუდას.

— მაშ! ოღონდ როცა მურადის ტოლა გახდები.

— მურადის ტოლა როდის გავხდები?

რა მეთქვა!

— შინ თუ გამომყვები, მაგ საიდუმლოს გეტყვი-მეთქი. — მოვიფიქრე.

ბაკურმა ავტომობილი მხარილივით გადაიკიდა და ორივე ხელი გამომინწოდა.

— ამიყვანე რა, დავილაღე.

იმ დღეს ბაკურს ვითომ საიდუმლოც გავანდე — აივანზე რომ ტახტზე გვიდგავ, იმის ქვეშიდან მურადის ფეხსაცმელი გამოვიღე და ვუთხარი: აი, აჩიკუდე, როცა ეს ფეხსაცმელი კარგა მოგივია მაშინ საჯარე ბიჭიც იქნები, გაიგე?

ბაკურმა თავი დამიქინა, გავიგეო და მთქნარება აუტყდა.

იმ დღის შემდეგ აჩიკუდა აღარ გავგვარავია. ტახტქვეშიდან მურადის ფეხსაცმელს გამოაწყობს, ვნახო, ფეხი გამეზარდა თუ არაო, ჩაიცვამს და აივანზე მიაბრაგუნ-მოაბრაგუნებს. იმის შემყურე დები სიცილით იგუდებიან. ძმებსაც გვეცინება, მაგრამ აჩიკუდას არ ვაგრძნობინებთ, ვიცით, ეწყინება. ან რა არის სასაცილო? — ერთხელაც ხომ მურადის ფეხსაცმელი კარგად მოუვა და იმასაც მოუწევს ჯარში წასვლა.

— ჯარში კი, როგორც კოტე ძია ამბობს, ბაკური ვაყვაცად იქცევა, მხრებგანეორ, ლონიერ ვაყვაცად.



საქართველოს  
სახელმწიფო

# ს ა ბ ჭ ო თ ა საქართველოს სახელმწიფო დროშა და გერბი

მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს აქვს თავისი დროშა და გერბი. თავ-თავიანთი დროშა და გერბი აქვთ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებსაც. საქართველოში წითელი დროშა 1921 წლის თებერვალში აფრიალდა. ეს იყო გამარჯვების და ახალი ცხოვრების დასაწყისი.

საქართველოს დროშა ჩვენი დიდი სახელმწიფოს დროშის ნაწილია, წითელია მისი ფერი, მასაც ამშვენებს ნამგალი და ურო, ვარსკვლავი. ამასთან, საქართველოს დროშას ცისფერი ზოლი დაჰყვება. დროშის მარცხენა ზემო კუთხეში ეს ცისფერი ზოლი მზისებრ ცისფერ-წითელ კვადრატს ებჯინება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი რესპუბლიკა მზიური ქვეყანაა, ცისფერი კი — ეროვნული ქართული ფერია. შუა კვადრატში ნამგალი და უროა გამოხატული. ნამგალი და ურო გლეხებისა და მუშების ძმური კავშირის გამოხატველია.

გერბი სახელმწიფოს, ქალაქის, რომელიმე ორგანიზაციისა თუ საზოგადოების სიმბოლური გამოხატულებაა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გერბი აღიბეჭდება ოფიციალურ დოკუმენტებზე, ფულზე და სხვა საქმიან ქალაქებზე.

საქართველოს გერბზე გამოხატულია ფართო, წითელი მინდორი, რომლის ზემო ნაწილში გამოხატულია მოციმციმე ხუთქიმიანი ვარსკვლავი, იგი ელვავაგ ხსივნებს აფრქვევს ველ-მინდორს: ქვემოთ ცისფრად დათოვლილი მყინვარწყურია; მარჯვნივ — ოქროსფერი პურის ძნა, მარცხენა ყურძნის მტევნებით დატვირთული ოქროს ვაჭი. პურის ძნისა და ვაჭის ბოლოები ერთმანეთს უერთდება მინდვრის ბოლოს, გერბის შუაგულში. დიდ ადგილს იკავებს ნამგლისა და უროს გამოხატულება, რომელიც ზემოთ ვარსკვლავს ებჯინება. ქვემოთ — მთის წვერს, ხოლო გვერდებზე — ვაჭსა და პურის თავთავს. მინდვრის გარშემო წარწყვრილია ქართულად და რუსულად: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ გერბი ჩასმულია ქართულ ორნამენტში.



გრძელკისერამ გასძახა:  
— ჩვენს ძმობაში  
შემოდით,

ჩვენი ხელით გავაკეთოთ  
ბეჭეს სახლის რემონტი.  
საქმეს როდი ეშველება  
ვაი-ვიშით, ნუგეშით.  
ხელი უნდა გავანძრიოთ,  
გული მართლა თუ

გვერჩის.  
მოსახდენი მოხდა,  
სიტყვა საქმედ იქცა;  
მეგობრების ხმებით  
შეპარბაცდა მინა:  
„მეგობრობა  
— ერთად ყოფნა  
და თაშიში როდია.  
გზა დაუთმეთ, ოსტატები  
სამუშაოდ მოდიან.“




ავთანდილ ზურაბიანიძე

## ბეჭე-ბიჭის ამბავი

აქა ამბავი გვხვს  
მეგობრებისა, ანუ  
„გაზოგალო კარისაო,  
სინათლე ხარ  
თვალისაო...“

შეხეთ ბეჭეს, —  
სკამზე ზის,  
ცხარე ცრემლებს  
ღვრის და ღვრის...  
უკვირს ყველას:  
დათვის თუ მელას  
ტუნცმაცუნა ბაჭიას,  
გრძელკისერა ჟირაფს,  
ციყვუნია პრანჭიას, —  
თავს იქნევინ: — ეჭე-ეე,  
მონყენილა ბეჭე.  
დაეხვივნენ ბეჭე-ბიჭს,  
შეკითხვებით აიკლეს, —  
როგორც იქნა, ყველაფერი,  
ყველაფერი გაიგეს...  
ატყდა ერთი ვაი-ვიში,  
ხელი ირტყეს თავში, პირში.



მატყარი ჯეშალ ლოლუა



მეგობრობა ქვეყანაზე  
მართლაც ყველაფერია.  
აბა-დელო, დელი-დელა,  
აბა-დელო, დელია!"  
გაანძრია ყველამ ხელი,  
უცებ გაჩნდა ყველაფერი:  
აქეთ ვედრო, იქეთ ფუნჯი,  
აქეთ სილა და ცემენტი.  
მეზობლებსაც

გადასძახეს, —  
იქნებოდნენ ათზე მეტი.  
ათი კაცი ძალა არის,  
მთასაც დაძრავს ათი ბანი;  
მითუმეტეს, მეგობრისთვის  
დადგა ათი მეგობარი.  
...ალესეს და ჩამოლესეს,  
აკურეს და ჩამოაკურეს,  
კედლები და იატაკი  
დაამსგავსეს ნათელ  
სარკეს.


ღებეს, ჰაი, როგორ  
ღებეს, —  
წინანდელზე უკეთესად.  
(თუმცა თავგამა ერთ  
ადგილას  
სორო აღარ ამოლესა).  
მელაკუდამ კედელს კუდით  
წინილები მიახატა,  
ვირთხამ — თოკით

გაკოჭილი,  
ვეებერთელა ჭრელი კატა.  
ზოგან ფხიკეს,  
ზოგან შალეს,  
იატაკიც მოამშრალეს.  
არც თამაში გაახსენდათ,  
არც საჭმელი, არც  
სასმელი;

დაავინყდათ,  
რა საქმეზე  
ვინ სად იყო წასახველი.  
მიალაგეს, მოალაგეს,  
ერთმანეთი აქეს  
და თქვეს:

— სულაც, სულაც არ  
გვეგონა,  
თუ შევძლებდით ამდენს...  
...ამ დროს დედა-ბებემოთი  
სახლში მოდის გულის  
ხეთქვით:

— რა ხმაური არის  
ნეტავ,  
რა ვიქიქრო ცუდის მეტი!"  
შევიდა და რასა ხედავს,  
თვალი მოიფშვინტა:



„სახლი ხომ არ შემეშალა,  
სადა ვარო ნეტავ?“.  
მერე ბეჭეს მეგობრები  
სათითაოდ გადაკოცნა,  
თანაც ეს თქვა:  
— თქვენისთანა  
შვილი ნეტა ბევრი მომცა!

ჟური უგდეთ,  
— დიდ ტყეში,  
სადაც დიდი ღელვა,  
ღელის პირას სახლი დგას,  
ეს იმ სახლში მღერიან:  
„მეგობრობა ქვეყანაზე  
მართლაც ყველაფერია.  
აბა-დელო, დელი-დელა,  
აბა-დელო, დელია!“

# მედიანა

## ზღარბი

**ზონან ზაზაური**

ნემსზე ვაშლი წამოსაცვა,  
შინისაკენ გასწია,  
ჩქარობს, რათა გაახაროს  
ზღარბუნია პაწია:  
წინ მურია გადაუდგა,  
ატყდა გაწამაწია,  
მგერამ მურა რას დააკლებს,  
ტანს ჯად შენნი აცვია:  
ან ვაშლს რაღა დააკლებს,  
წვეს ამენი ახნია,  
წაილოს და გაახაროს  
ზღარბუნია პაწია!



## თაფლი

**ალასი ნაოზაბი**

ბაფხა შუბის ფულროში  
შუბისხვეთი რომ დაფლი ნახა,  
ღიჯად მშობი მუქურინჯა,  
— იგი, იგი იყო! — გაიზახა.



## თევზაობა

**აბთადილ მთაბალიძი**

ვითევზავეთ მე და მისომ  
ჩვენი ეზოს აუზში,  
დიდი თევზი დაუჭირეთ,  
ლოფსიტები გავუშვით.



## მწყემსობანა

**ალექსანდრე  
დიდბაზვილი**

მხარზე გაიღო  
კომბალი შოთამ:  
— მწყემსი—მეცნვარე  
ვიქნები, პოდა,  
ფარას გაერტყავ  
საბაღბოდა...  
მალბაზი ამბობს:  
— ნაბაზი ვარო,  
ფარას ნაღირი  
ვერ გაეგაროს!..  
დააბრიადა თვალები გვლამ:  
— მე უშიშარი  
გაბღეგარა მველი.  
უნდა მოგტაცო  
ბატკანი, კაცო!..  
უცებ ატირდა  
პაწია ბესა:  
— მე გვწონვარო  
ბატკანი მგელსა!

16764



## გამოსანა

**შოთა ამიანაშვილი**

სოგბურთელს ერთი მძა ჰევედა  
კაღბთურთული დიტო,  
მგერამ დიტოს კი ზრანდროს  
მძა არ ჰყოლიდა თვითონ.  
ეს როგორ მოსდა ნეტავი,  
გერ გამოიღვრობ ვითომ?!

## ენის გასტეხი

**უზანჯი  
სახალხოვეთი**

კვეშ, კაკომ, კიტამ, კატომ  
რკინებს კარგ ხანს უკირკიტებს,  
უკაკუნებს, კაკვებს, კვეთებს  
და რაკეტა გააკვეთებს.



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მედიის ეროვნული  
სამსახური



# საქართველოს მაისი თებერვალში მოვიდა

თებერვალი  
**25**  
ოთხშაბათი

ვახილ გვმთაქმ

საწოლიდან ბავშვები  
წამოცვიდნენ ამ დღით.  
სუფრა თვითონ გაშალეს  
და ლხინი აქვთ ნამდვილი.  
ჩიტის რძე რომ რძე არის,  
აი, ისიც აქ არი.  
პირში ღნება ჩურჩხელა,  
ტკბილი, როგორც შაქარი.  
ბროწეული, უნაბი,  
ყურძნის ჩხები უღოვეი,  
ბრჭყვიალებენ სუფრაზე,  
როგორც სამკაულები.




ყვითლად ჩაქარვებული  
ხურმაც აგერ ყოფილა.  
კომშმა ირგვლივ სამაო  
სურნელება მოჰფინა.  
ზურამ ტოლებს გასძახა:  
— დღესასწაულს გილოცავთ  
ხილით სავსე სუფრასთან  
წამოსკუბდა ნინუცა.  
სიმღერებით შეამკეს  
ჩვენი მთა და სერები,  
ჩვენი ბაღჩა-ბაღები  
ციხარტყელას ფერები.

ჯერაც მწვანე ტოტებზე  
ფორთოხლები ყვეიან.  
თებერვალი კი არა,  
შემოდგომის ხეავია.  
თებერვალი კი არა,  
ქვეყნის გაზაფხულია.  
დარმაც ისე იდარა,  
ზამთარს არ ჰგავს სრულიად.  
მზე ბრჭყვიალით ანათებს  
ყვავილების თოვიდან.  
საქართველოს მაისი  
თებერვალში მოვიდა.



# ბავშვების მათემატიკური



ბის ნაცვლად, ჩა თქმა უნდა, უკვლავან ერთი და იგივე ციფრები უნდა ჩაწეროს.

პირველ მაგალითს თუ გამოიყვანთ, მეორით შეგიძლიათ შეიმსუშინოთ. თქვენი პასუხის სისწორე, ამა, დააკვირდით და გამოიანგარიშეთ, რას

უღრის სანთელი ( ), კერცხი ( ), ნაბუკი ( ), და კუბი ( ).

თქვენს წინ ქვემოთწერით გამოსავალი ორი არითმეტიკული მაგალითია. თუ ფიგურების ნაცვლად სწორად ჩაწერთ ციფრებს 0-დან 9-მდე, შეიძლება შედეგოდ სწორი გამოვა. მოცემული გაკვეთ ერთი სავანის მნიშვნელობა—

ბურთი ( ), უღრის მ-ს, გარდა ამისა—ნაბუკი ( ), არის კერცხის ( ) ნაბევაარი.

კიდევ ერთი რამ: ერთნაირი ნახატ-ე



**მუხრანი.** ბევრ ადგოლს სახელი მკენარეულობის მიხედვით აქვს დარკმეული. საქართველოში მცენარეთა შორის მველთავანვე პატარის სვემდნენ მუხას. ამიტომ ჩვენი ქვეუნი გეოგრაფიულ სახელებში ძალიან ბევრია მუხასთან დაკავშირებული სახელები. მაგალითად, უველას გაუგონია ქართლში მდებარე ისტორიული სოფელი მუხრანი; ეს სახელწოდება მიღებულია ბევრათა გადასმით მუხნარისაბბან. მუხნარი კი, როგორც ვივით, მუხებთან ადგოლს, მუხის ტყის ნიშნავს.

სოფელი მუხრანი მცხეთის რაიონს ეკუთვნის. ამავე რაიონში ცნობილია აგრეთვე სოფლები მუხსთბებერდი და მუხსთფარო.

გარდაბნის რაიონში არის სოფელი, რომელსაც **მუხრან-თელეთი** ჰქვია, როგორც ვხედავთ, აქ მუხასთან ერთად წარმოდგენილია მეორე ხის სახელიც — თელა.

მუხნარი, ბევრათა შეუცვლელად, ჰქვია სოფელს აფხაზეთში, ვაგრის საქალაქო ზონაში.

**მუხნანი** სოფელია იმერეთში, წყალტუბოს საქალაქო ზონაში. თეთრიწყაროს რაიონში არის სოფელი **მუხსთი**, ზნაურის რაიონში (სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში) — **მუხსური**, იმავე რაიონში მეორე სოფელს **დიდმუხს** ჰქვია. ცხურის რაიონში არის სოფლები **ცხრამუხს** და **ჯბბარმუხს**. აბბარაში, ქობულეთის რაიონში, ცნობილია დიდი სოფელი **მუხსანსტბბ**. ორ სოფელს (ქარელისა და თეთრი წყაროს რაიონებში) **მონისი** ჰქვია. ეს სახელიც მუხას უკავშირდება — იგივეა, რაც მუხისი.

პროფ. ზურაბ-ბუმბურნიძე

# ენა სიკსიკა

## ვინაა ვინაა

ენატიკტიკა სამი წლისაა. უყვარს ცელობა და თამაში, მაგრამ ყველაფერს ტიკტიკი ურჩევნია. თამაშისა და ცელოპობის დროსაც კი არ აჩერებს ენას. ამიტომ დაარქვეს ენატიკტიკა.

ერთხელ ენატიკტიკა ბორჯომში პყავდათ.

— როგორ მოგეწონა ბორჯომი? — ჰკითხა მამამ.

— ძალიან, მამიკო, ოღონდ ახლა, თუ შეიძლება, ლიმონათში წავიდეთ!

მამას ხარხარი აუტყდა. ენატიკტიკას გაუკვირდა:

— რას იცინი?

— შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები!..

ენატიკტიკამ დედას ჰკითხა:

— დედიკო, დედიკო, რატომ არის ეს ვარდი გაშლილი, ეს კი გაუშლელი?

— ეგ კოკორია, შვილო, ეგეც მალე გაიშლება.

— მერე ისევ შეიშლება? დედას გაეცინა.

— რატომ იცინი? — განყრა ენატიკტიკა.

— აბა, შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები!

ერთხელ იანვარში ენატიკტიკამ ატამი მოითხოვა. უფროსმა დამ უთხრა:

— სად გიმოწონო ამ შუა ზამთარში ატამი. ატამი ზაფხულში იცის.

— მერე წავიდეთ ზაფხულში, მანქანით!

— დაიკომ გადაიკისკისა. ენატიკტიკას ეწყინა.

— რა ვთქვი სასაცილო?  
— შენ თვითონ თუ მიხვდები, კარგი გოგო იქნები! ასე უპასუხა დაიკომაც.  
ჰოდა, ენატიკტიკაც ფიქრობს, ფიქრობს და ჯერჯერობით ვერა და ვერ მიმხვდარა, რატომ იცინია მის ლაპარაკზე უფროსები.  
აბა, თქვენ თუ მიხვდებით, რატომ?

გივი კახანაძე



მხატვარი ოთარ ჩხარტიშვილი

# მზარუნ

ნოდარ შაშანაძე

— ჩუქუ-ჩუქუ!  
 ჩუქუ-ჩუქუ!  
 ხევე მოცვეები მთა-გორიანს,  
 სამად სამი მგზაური მყავს და  
 სამად სამი ვაგონია.

— ჩუქუ-ჩუქუ!..  
 ამ ელმავალს  
 რა ძალა აქვს, რა ღონე აქვს...  
 მალე ვაქე გამოჩნდება,  
 ხევე დავტოვებთ მთა-გორიანს.  
 მგზაურებს ძლიერ უხარიათ.—  
 თითოს თითო ვაგონი აქვს:  
 ერთ ვაგონში ცუგო მიზის,  
 მეორეში მიზის კნუტი,  
 მესამეში—დათუნია,  
 ხურავს გამცილებლის ქული.  
 მინდა სულ მთლად მოვიარო  
 საქართველო გზებმრავალი:

— ჩუქუ-ჩუქუ!..  
 — ჩუქუ-ჩუქუ!..  
 მომყავს კობტა ელმავალი.



## ყვავი თოვლის- ქანა

გივი შიშინაძე

ყვავი—

ყვავა! ყვავა! თოვლკაცო,  
 მინდა ქული მოგტაცო.  
 დაგმსხვრიო, დაგმტვრიო  
 ჩიბუხი და ცოცხი...

თოვლის კაცი—სულ არ ვუფრთხი შენისთანა  
 უქნარას და მოცილილს!

ყვავი—

ყვავა! მე თუ მოცილილი ვარ,  
 შენზე რალა იოქმის!  
 მთელი კვირა უქმად დგებარ  
 და ფანტელდებს ითული.  
 როდემდის გასურს ზებურად  
 იყურებო ასე?!  
 მზე როგორც კი გესტუმრება,  
 წყლად იქცევი წამსვე.


თოვლის კაცი—მე თოვლის კაცს მეძახიან,  
 სიხარულს ვვფრი ბავშვებს.  
 გასწი, ყვავო—ყვანალიავ,  
 ნუ დამჩხავი თავზე.  
 ვიცი, ბოლოს წყლად ვიქცევი.  
 მაგრამ როდი ენადლობ.  
 ვიდრე ვცოცხლობ, ვალამაზებ  
 გადათოვლილ მაღლობს...  
 მერე, მზე რომ გვესტუმრება  
 და შეწყდება თოვა,  
 გავქრები და გაზაფხულზე  
 ლამაზ წვიმად მოვალ.



მხატვარი ზურაბ ფორჩხიძე



საქირო იყო მ წერილის დარგება. ფოსტალიონმა დახედა ამ ნახატს და იმწამსვე მიხვდა, რა გზით უნდა წასულიყო. ისე გაიარა მთელი გზა, ორჯერ ერთსა და იმავე პუნქტში არ გაუვლია. იქნებ შენც მიხვდ, რომელი გზა აირჩია მან?




**ფანტასტიკური ცხოველი**

რა და რა ცხოველის ნაწილებისაგან შედგება ეს ცხოველი?

ტ ს უ პ ე ბ ი

ამ სურათზე გამოხატულია მ ბიჭუნა, ორი ტყულები არიან. შეჯიბრით ერთმანეთს ვინც უფრო მალე მიხვდება, რომლები არიან ტყულები, იმას მამული თვლი პქონია.



ძაროსძორძი

თარაზულად: 1. დიდი ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსის სახელი; 2. სასწავლო წიგნი; 3. შენობის გადასახური მახალა ძველად.  
 შვეულად: 1. მტაცებელი, ფრინველი; 2. ავადმყოფი ანუ? 3. ტრანსპორტის სახეობა წინათ.

**სამი მოთხილამურე**

სამი მოთხილამურე სტარტიდან\* ერთდროულად დაიძრა და ფინიშთან\*\* სამივე ერთდროულად მივიდა. აბა, გამოიცანი, რომელს უფრო სწრაფად ურბენია.

\* სტარტი—შეჯიბრების დასაწყისი.  
 \*\* ფინიში—შეჯიბრების დასასრული.





# ყიშა

ს ა უ კ ა ნ დ ა ე რ ა

— მამალო!  
 — რა იყო მელაკულა?  
 — ახლა მე ხომ არ ვიციელებ შენს მაგიერად. ადგე, რა ხანია გათენდა, სკოლაში წაგიდეთ.  
 — რომელ სკოლაში?  
 — როგორ! არ იცი? აჰე, ტყეში ახალი სკოლა გაიხსნა, ვისწავლოთ, ერთად ვიაროთ... აი, ნახე. გუშინ ვიყიდე ქიშია, ფიზიკა, აღგებრა...  
 მამალმა იმდენი იცინა, კინალამ დაიღრჩო!  
 — არა, ერთი მოთხარი, როდემდის უნდა იყო ასეთი ტყუილების გულა... შენს სიცოცხლეში ერთი სიმაართლეც კი არ გითქვამს... ვიცი, რასაც მიპირებ...  
 — მაინც რას?  
 — შეკვამ!  
 — დედა, ეს რა გავიგონე! მე და მამალის შეკვამ? რაებს იძახი, რამდენი ხანია

ხოტკის პირში აღარ ვიყარებ... შენს თავს გეფიცები...  
 — მე რას მიფიცებ, სიცრუეზე შენი თავი დიფიცე...  
 — რა ფეხზე გაგდევნის, მამალო, შენს მეთრ საფიტკარი მეგობარი ვინა მყავს! ვინა მყავს შენზე ძვირფასი და საყვარელი!...  
 კრუპენტელა მელაკულას საუბარი არ დაემთავრებინა, უცნაური ხმით წამოიძახა:  
 — ვაიმე, მოგკვდი, მიშველე, მამალო!  
 — რა მოგივიდა მელაკულა?—ჰკითხა გაოცებულმა მამალმა.  
 — თავში ორფუთიანი გირჩი დამეცა და თავი გამიხეთქა... ვიმიე...  
 მამალმა ერთი გულთანად ჩაიხიხითია და მელაკულას მიიძახა:  
 — თი, კრუპენტელავე, ეგ ხრიკები აღარ გაგივა, შენი აღარაფერი მტერია!



## წესუსი




8




ყურადღებო!

მოეხმარეთ ლიას და გიას, ასწავლეთ შინსაკენ მიმავალი გზა. ილიონ იყოლეთ, გზაზე არც მგელი უნდა შეხვდეთ, არც გველი, არც ჰემელი, არც ჰომბი. თანაც უნდა მიხედეთ, რომელია ლიას სახლი და რომელი გიასი.



მიღებნეთ ორი ერთნაირი რაკეტა!



საბავთველმოს  
ალკა ცა-ნსა  
და 3. ი. ლენინის  
საბავთველმოს  
პირველი  
ორგანიზაციის  
სამუშაოკუთხედი  
საბავთველმოს  
შუამდგომლობა  
საბავთველმოს  
საბავთველმოს

ელაზე: „ჩვენი ძალია ერთობაშია“. სახატი ზურაბი შორაშვილი

მთავარი რედაქტორი მუხრან შაბაშვილი

სარედაქციო კოლეგია: ელპარე ავალიანი, ილია ანთოლაძე, ანაბერი გოგიანი, სოლომონ დავითაშვილი, ლევან იბრაიმი, ზურაბ ლავანიანი (პეპე მღვიმელი), მანანა კობახიძე, ბაბა ლომიანი, რამა, მავალიანი მარგალიანი, ზურაბ ნაღვიანი, პირველი რედაქტორი (სამხატვრო რედაქტორი), ბიბი მელიანი, მირი წილაშვილი, ბიბი ბიბიანი.

ცენტრალური ენო წერეთელი

მხატვარი რედაქტორი, გამომცემელი, სკანონი — ილია, ლენინი, 14. ელ. მთ. რედაქტორი — 93-41-30, 93-98-15; 114. მთიანი — 93-41-30, 93-98-10; სახ. რედაქტორი — 93-98-18; ელ. მთ. რედაქტორი — 93-10-32, 93-98-19, 93-98-16.  
გამომცემი ინსტიტუტი 9/111-80 წ., ხელმოწერა დანამტყუთი 12/1-81 წ., კალაშის ზომა 90x90 სმ.  
ფოტ. სპ. ფურც. პა. ტირაჟი 171.900. ზღ. № 3155. „ძალია“ № 2. ჟურნალი მათთვის, რომლებსაც უნდა უკითხოთ.  
სა გრუინკომა ენკა. ტბილისი, ელ. ლენინი, 14.

გამომცემი  
64-ე წელი  
საქ. ელ. მთ.  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии